ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 63232848**
თარიღი:**11/10/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“-ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით, შეწყვიტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების (ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) თხოვების ხელშეკრულება.

მუხლი 2.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი